ალტე უნივერსიტეტის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

2024 წლის ივლისში, ალტე უნივერსიტეტში ჩატარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაზე აბსტრქტების მიღება მიმდინარეობს შემდეგი თემტური მიმართულებებით:

თემატური სესია I:

- ,გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში
- გამოხატვის თავისუფლება და მედია
- გამოყენებითი ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები

თემატური სესია II:

- მეწარმეობა, ინოვაციები და სტარტაპები
- სოციალური მედია მარკეტინგი
- ფინანსები და ინვესტიციები
- ტურიზმი, აგროტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი

თემატური სესია III:

- ხელოვნური ინტელექტი
- საინფორმააციო უსაფრთხოება და კიბერუსაფრთხოება
- Big Data და მონაცემთა მეცნიერება

კონფერენციაში მონაწილეობა შეუძლია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს. სტუდენტებმა, 2024 წლის 23 ივნისამდე, უნდა წარმოადგინონ საკონფერენციო მოხსენების აბსტრაქტი ელ-ფოსტაზე: research@alte.edu.ge

აბსტრაქტის ტექნიკური მახასიათებლები:

- აბსტრქტი უნდა იყოს მინიმუმ 150 და მაქსიმუმ სიტყვა
- აბსტრქტი უნდა მოიცავდეს საკვანძო სიტყვებს (მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5)
- დოკუმენტის ფორმატი - Microsoft Word
- ფონტი - Sylfaen
- ზომა - 12
- სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1.5
- ველებს შორის დაშორება – 1 ინჩი (2.54 სმ.)
- აბსტრაქტი უნდა გაფორმდეს APA სტილში
- ყველა წარმოდგენილი ნაშრომი შემოწმდება პლაგიატზე პროგრამა Turnitin-ის საშუალებით.

სატიტულო გვერდი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- მომხსენებლის სახელი და გვარი სრულად
- უნივერსიტეტის და სპეციალობის დასახელება
- სწავლების საფეხური და კურსი
- მოხსენების ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა ან სამეცნიერო ხარისხი
- სათაური

კონფერენციაზე პრეზენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს **Power Point ფორმატით,** რეგლამენტი - 15 წუთი (დამატებით 10 წუთი დისკუსია).

კონფერენციის შედეგები:

- სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომების და პრეზენტაციების შედეგად, თითოეულ თემატურ სექციში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელიც დაჯილდოვდება პრიზით
- კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცემა სერთიფიკატი